საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-337

10/04/2020

ქ. თბილისი

„ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში ი/მ „ბეჟან იამანიძის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის) სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-836 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 17 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა ი/მ ბეჟან იამანიძემ და ითხოვა ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში ი/მ „ბეჟან იამანიძის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის) სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-836 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-836 ბრძანებით მიღებულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ი/მ „ბეჟან იამანიძის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის) სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ი/მ ბეჟან იამანიძის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში ი/მ/ „ბეჟან იამანიძის“ სასრგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის) სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 2 სექტემბრის №2-836 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ი/მ ბეჟან იამანიძეს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ ბეჟან იამანიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი